

წესდების პროექტის სამუშაო ვერსია

სააქციო საზოგადოება „საქართველოს საფონდო ბირჟა“

**წესდება
(ინდივიდუალური)**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სააქციო საზოგადოება “საქართველოს საფონდო ბირჟა” (შემდეგში “სააქციო საზოგადოება” “საზოგადოება” ან “ბირჟა”) რეგისტრირებულია 1999 წლის 12 იანვარს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, როგორც სამენარმეთო საზოგადოება (იურიდიული პირი), რომლის კაპიტალი დაყოფილია აქციებად.
2. ბირჟა არის მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული იურიდიული პირი.
3. ბირჟის სამართლებრივი სტატუსი, საქმიანობა, უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება “მენარმეთა შესახებ” და “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” საქართველოს კანონებით, მარეგულირებელი ორგანოს (საქართველოს ეროვნული ბანკის) ნორმატიული აქტებით (შემდეგში “საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი კანონმდებლობა”) და ამ წესდებით. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ წესდებით, რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.
4. ეს წესდება წარმოადგენს აქციონერთა შორის დადებული სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს, რომელიც გამოხატავს მათ ურთიერთთანხვედრ ნებას და იგი სავალდებულო ძალის მქონეა აქციონერებისთვის. ამ წესდებით განსაზღვრული ნორმები სავალდებულოა არა მხოლოდ სააქციო საზოგადოების იმ აქციონერებისთვის რომლებმაც მხარი დაუჭირეს ამ წესდების მიღებას არამედ ყველა არსებული და მომავალი აქციონერისთვის მიუხედავად იმისა, რომ მას წესდებაზე ხელი არ მოუწერია.
5. პარტნიორთა შეთანხმება ემყარება სააქციო საზოგადოების აქციონერთა კეთილსინდისიერების, ურთიერთპატივისცემის, გადაწყვეტილების მართლზომიერად და გულისხმიერებით მიღების ზოგად პრინციპებს. აქციონერთა მიერ დაცულია მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სამენარმეთო საქმიანობის ძირითადი პრინციპები.
6. ბირჟის შექმნის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში ფასიანი ქაღალდების გამჭვირვალე და ლიკვიდური ორგანიზებული ბაზრის ჩამოყალიბება, სიცოცხლისუნარიანი და ეფექტური სავაჭრო მექანიზმების შექმნა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ამასთან, ძირითადი მიზნის მისაღწევად, ეკონომიკური კუთხით ბირჟის მიზანია მართლზომიერი, არაერთჯერადი და დამოუკიდებელი სამენარმეთო საქმიანობის საფუძველზე მოგების მიღება. საზოგადოებას უფლება აქვს მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონმდებლობით განსაზღვრული საფონდო ბირჟის (ძირითადი) საქმიანობა და მისი განხორციელებისათვის აუცილებელი, მოქმედი კანონმდებლობით მისთვის აუკრძალავი ნებისმიერი სხვა სამენარმეთო (დამხმარე) საქმიანობები. ის საქმიანობა, რომლის განხორციელებაც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის/ავტორიზაციის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების ან/და ავტორიზაციის მომენტიდან.
7. ბირჟა წარმოადგენს თვითრეგულირებად ორგანიზაციას, ჰყავს წევრები და მოქმედებს საბირჟო საქმიანობის ლიცენზიისა და მარეგულირებელი ორგანოს მიერ ფინანსური ინსტრუმენტების სავაჭრო

სისტემის ორგანიზებულ ბაზრად აღიარების საფუძველზე. ბირჟის წევრები, შეიძლება იყვნენ რეზიდენტი ან/და არარეზიდენტი ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტები, ბირჟის წევრობა, მასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები და პროცედურები რეგულირდება საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი კანონმდებლობით, საქართველოს საფონდო ბირჟის წევრთა დებულებით და ბირჟის სხვა წესებით.

8. ბირჟის საქმიანობის საგანია:

ა) ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვისა და გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება;

ბ) ფასიანი ქაღალდების საჯარო ვაჭრობის ორგანიზება საბირჟო წესების და პროცედურების შესაბამისად;

გ) დადებული გარიგებების / საბირჟო ვაჭრობების შედეგების შესახებ და საფონდო ბაზართან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის გავრცელება.

დ) კანონით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

9. ბირჟა შეიძლება იყოს ჩართული საფონდო ბირჟის საქმიანობაში (ძირითადი საქმიანობა), ამ ძირითადი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ სხვა დამხმარე საქმიანობებში, ძირითადი საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო აქტივების ეფექტიანი გამოყენებისათვის გამიზნულ დამხმარე საქმიანობაში.

10. სააქციო საზოგადოება თავისი მიზნების მისაღწევად ფლობს ქონებას, იძენს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს და კისრულობს ვალდებულებებს, ასევე შეუძლია თავისი სახელით გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, კანონის ფარგლებში დადოს გარიგებები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, განსაზღვროს ამ გარიგების შინაარსი, დადოს ისეთი გარიგებები, რომლებიც კანონით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას, ასევე შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობები, იყოს მოსარჩელე ან/და მოპასუხე სასამართლოში.

11. სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების ვალდებულებებისთვის მისი აქციონერები და ხელმძღვანელები პასუხს არ აგებენ. სააქციო საზოგადოება პასუხს არ აგებს აქციონერთა ვალდებულებებისთვის.

12. სააქციო საზოგადოება თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. იგი თავად იღებს გადაწყვეტილებას მისთვის მნიშვნელოვან საკითხზე. საზოგადოება შედგება შესაბამისი ორგანოებისაგან, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მართვასა და წარმომადგენლობას. საზოგადოების მართვის ორგანოები და მათი უფლებამოსილებები განსაზღვრულია მოქმედი, მათ შორის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი კანონმდებლობით და ამ წესდებით. ამასთან, აღნიშნული ორგანოები საქმიანობას ახორციელებენ მხოლოდ მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

13. სააქციო საზოგადოებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი. საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს ანგარიში საქართველოში ან უცხოეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, ელექტრონული შტამპი ან ბეჭედი, ბლანკი და ემბლემა. საზოგადოებას უფლება აქვს გახსნას შესაბამისი ანგარიშები ნებისმიერ ბანკში როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში.

14. სააქციო საზოგადოებას უფლება აქვს, დადგინდეს წესის მიხედვით, გახსნას თავისი საწარმოები, ფილიალები და წარმომადგენლობები როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ, ასევე მონაწილეობა მიიღოს სხვა ორგანიზაციებისა და წარმოებების შექმნაში. საზოგადოება უფლებამოსილია გაერთიანდეს სხვადასხვა სახის გაერთიანებებში.

15. სააქციო საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 2. სააქციო საზოგადოების აქციონერები და მათი უფლებები-მოვალეობები

1. სააქციო საზოგადოების პარტნიორი არის პირი, რომელიც სააქციო საზოგადოების აქციების მესაკუთრეა (აქციონერი). საზოგადოების აქციონერი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, აგრეთვე იურიდიული პირის სტატუსის არმქონე, რეგისტრირებული, დამოუკიდებელი ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელსაც შეუძლია საკუთარი სახელით შეიძინოს უფლებები და აიღოს ვალდებულებები.
2. აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერით. აქციონერს უნდა მიეცეს ამონაწერი აქციათა რეესტრიდან ან ნომინალური მფლობელის ამონაწერი.
3. თუ სააქციო საზოგადოებაში აქციონერთა ოდენობა ორმოცდაათზე მეტია, სააქციო საზოგადოება ვალდებულია აქციათა რეესტრი **დამოუკიდებელი რეგისტრატორის** მეშვეობით აწარმოოს, ხოლო თუ აქციონერთა ოდენობა ორმოცდაათს არ აღემატება, საზოგადოებას შეუძლია აწარმოოს აქციათა რეესტრი თვითონ ან დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით. აქციათა რეესტრის წარმოებასა და ამონაწერის გაცემაზე პასუხისმგებელია აქციათა რეესტრის წარმოებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო.
4. სააქციო საზოგადოების აქციონერებს აქვთ და ეკისრებათ ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებები და ვალდებულებები.
5. თავისი უფლებებით სარგებლობისას, აქციონერმა მხედველობაში უნდა მიიღოს სააქციო საზოგადოებისა და დანარჩენ აქციონერთა კანონიერი ინტერესები და უფლებები. საზოგადოების აქციონერი საზოგადოების ვალდებულებებისთვის კრედიტორის წინაშე პასუხს არ აგებს. გამონაკლის შემთხვევაში, საზოგადოების აქციონერი საზოგადოების კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს პირადად, თუ ის პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას ბოროტად იყენებს და საზოგადოებას არ შეუძლია კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება.
6. თანაბარ პირობებში აქციონერებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ამ პრინციპიდან გამონაკლისი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვება, თუ ეს კანონით ან ამ წესდებით არის პირდაპირ გათვალისწინებული და აუცილებელია, სააქციო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.
7. აქციის გადაცემის შესახებ შეთანხმება წერილობით უნდა გაფორმდეს. აქციონერი ვალდებულია აქციის გადაცემის შესახებ შეთანხმების გაფორმებისთანავე აცნობოს ამის თაობაზე სააქციო საზოგადოებას იმ შემთხვევაში, თუ აქციათა რეესტრს არ აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი.
8. აქციონერებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სააქციო საზოგადოების მართვაში ამ წესდებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.
9. ერთ ან რამდენიმე აქციონერს უფლება აქვს შეიტანოს სარჩელი საკუთარი სახელით და სააქციო საზოგადოების სასარგებლოდ სააქციო საზოგადოების კუთვნილი მოთხოვნის განსახორციელებლად, მათ შორის, სააქციო საზოგადოების თანამდებობის პირთა წინააღმდეგ, მათ მიერ საკუთარი მოვალეობების შეუსრულებლობით სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ან მიყენებული ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ მიღებული სარგებლის სააქციო საზოგადოებისთვის გადაცემის ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობის მოთხოვნით.
10. სააქციო საზოგადოებაში დივიდენდის გაცემის ზოგადი აკრძალვა დაუშვებელია.
11. დაუშვებელია გაცემული დივიდენდის დაბრუნების მოთხოვნა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დივიდენდის მიმღებმა პარტნიორმა მისი მიღებისას იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ დივიდენდის

Commented [MG1]: შემოთავაზებული რედაქციით შეზღუდვას ვეწესებთ ბირჟას და ვივალდებულებთ თავს, რომ დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით აწარმოოთ რეესტრი. ბირჟას არ უნდა შეეზღუდოს კანონით მიმნიჭებული დისკრეტია. აქციონერთა გადასაწყვეტია.

Commented [MOU2R1]: კრებამ გადაწყვიტოს

განაწილებისას დაირღვა კანონით ან ამ წესდებით დადგენილი ნორმები. სააქციო საზოგადოებას უფლება არ აქვს გასცეს დივიდენდი, თუ ეს საზოგადოების გადახდისუნარიობას გამოიწვევს.

12. აქციონერს უფლება აქვს:

- ა) მონაწილეობა მიიღოს საერთო კრებაში;
- ბ) გაეცნოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს;
- გ) გაეცნოს სააქციო საზოგადოების დოკუმენტებს და მიიღოს მათი ასლები ბეჭდური ფორმით ან ელექტრონულად.
- დ) მიიღოს დივიდენდი;
- ე) თავისუფლად განკარგოს თავის საკუთრებაში არსებული აქციები;
- ვ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააქციო საზოგადოებას მოსთხოვოს თავის საკუთრებაში არსებული აქციების გამოსყიდვა;
- ზ) მიიღოს ნარჩენი ქონება სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შედეგად;
- თ) განახორციელოს კანონით ან, კანონიდან გამომდინარე, ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

13. აქციონერს უფლება აქვს ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით თავისუფლად განკარგოს თავის მფლობელობაში არსებული აქციები სააქციო საზოგადოების ან სხვა აქციონერების თანხმობის გარეშე, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

14. ხმათა 5 პროცენტის მფლობელ აქციონერებს, ამ მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებების გარდა, უფლება აქვთ:

- ა) სააქციო საზოგადოების შესაბამის ხელმძღვანელ ორგანოს მოსთხოვონ სააქციო საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების ასლები. სააქციო საზოგადოების შესაბამისი ორგანო უფლებამოსილია, სააქციო საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, უარი განაცხადოს ამ ასლების/ინფორმაციის გაყვამაზე;
- ბ) მოითხოვონ სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის ჩატარება;
- გ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოიწვიონ რიგგარეშე საერთო კრება;
- დ) მოითხოვონ საერთო კრების დღის წესრიგში საკითხის დამატება „მწარამეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

15. აქციების, სულ მცირე, 5 პროცენტის მფლობელი აქციონერების მიმართვისა და საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე სააქციო საზოგადოება ვალდებულია განახორციელოს სააქციო საზოგადოების სამეურნეო მოქმედების ან წლიური ფინანსური ანგარიშგების სპეციალური შემოწმება, თუ ის კანონით არ ექვემდებარება სავალდებულო აუდიტს, რისთვისაც იგი ნიშნავს სპეციალურ აუდიტორს. აქციონერს, რომლის ინტერესსაც ეხება სააქციო საზოგადოების სამეურნეო მოქმედების სპეციალური შემოწმება, ხმის უფლება არ აქვს.

16. აქციონერი ვალდებულია:

- ა) განახორციელოს შენატანი კუთვნილი აქციის მისაღებად;
- ბ) სააქციო საზოგადოებას ან აქციათა რეგისტრატორს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიანდოს ინფორმაცია მასთან დაკავშირებული ნებისმიერი იმ მონაცემის ცვლილების შესახებ, რომელიც რეგისტრირებულია აქციათა რეგისტრში;
- გ) შეასრულოს სხვა მოვალეობები, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით ან/და ამ წესდებით.

Commented [MOU3]: დაკორექტირდება აქციონერთა კრების გადაწყვეტილების შესაბამისად

17. აქციონერს უფლება აქვს სააქციო საზოგადოებას კანონით დადგენილი წესით მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსიღება, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა ისეთ გადანყვეტილებას, რომელიც გაუმართლებლად და არსებითად ლახავს ამ აქციონერის უფლებებს ან ეხება სააქციო საზოგადოების რეორგანიზაციას.

მუხლი 3. სააქციო საზოგადოების აქციონერების მიერ ინფორმაციის მიღებისა და დოკუმენტაციის გაცნობის უფლება

1. საერთო კრების მონაწილე ყველა აქციონერს უფლება აქვს საერთო კრების მიმდინარეობისას, კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით, სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს/პირებს დაუსვას შეკითხვები და მოსთხოვოს ამ საკითხების სათანადოდ განხილვისა და შეფასებისთვის აუცილებელი ნებისმიერი ინფორმაცია.
2. ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია ნებისმიერ აქციონერს მოთხოვნისთანავე, გონივრულ ვადაში მიანდლოს ინფორმაცია სააქციო საზოგადოების საქმიანობის შესახებ და მისცეს სააქციო საზოგადოების დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ამ მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით.
3. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია აქციონერის შეკითხვებს უპასუხოს და მას მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად მიანდლოს ამ მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით.
4. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს აქციონერს უარი უთხრას მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებაზე, თუ:
 - ა) შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამ სააქციო საზოგადოებას შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს;
 - ბ) შესაბამისი ინფორმაციის გაცემით კონფიდენციალური ინფორმაცია გამჟღავნდებოდა;
 - გ) დასმულ შეკითხვას პასუხი საერთო კრების დაწყებამდე და მისი მიმდინარეობისას სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე კითხვა-პასუხის ფორმატით აქვს გაცემული.
5. ინფორმაციის მიწოდებაზე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს უარი შეიძლება საერთო კრების ოქმის შედგენიდან 15 დღის ვადაში გასაჩივრდეს სასამართლოში. თუ სასამართლო დააკმაყოფილებს აქციონერის მოთხოვნას, აქციონერს მოთხოვნილი ინფორმაცია საერთო კრების გარეშეც მიენდობა. სააქციო საზოგადოებამ იგივე ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ყველა სხვა დაინტერესებული აქციონერისთვის.
6. თუ საერთო კრების დაწყებამდე სააქციო საზოგადოებამ თავისი ინიციატივით რომელიმე აქციონერს, აქციონერის სტატუსიდან გამომდინარე, მიანდოა ინფორმაცია, იგივე ინფორმაცია უნდა მიენდოს საერთო კრების მონაწილე ყველა სხვა აქციონერს, იმ შემთხვევაშიც, თუ ეს ინფორმაცია საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განსახილველად აუცილებელი არ არის.

მუხლი 4. სააქციო საზოგადოების პარტნიორის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

1. დომინანტ აქციონერად მიიჩნევა აქციონერი ან ერთად მოქმედ აქციონერთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს საერთო კრებაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგზე.
2. თუ სააქციო საზოგადოების დომინანტმა აქციონერმა თავისი დომინანტური მდგომარეობა განზრახ გამოიყენა სააქციო საზოგადოების საზიანოდ, მან უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. დომინანტი აქციონერი ვალდებულია, სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის გარდა, აანაზღაუროს აგრეთვე სხვა აქციონერისთვის მიყენებული ზიანი, გარდა იმ ზიანისა, რომელიც მას მიაღდა სააქციო

საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, მათ შორის, მისი აქციების ღირებულების შემცირებით.

3. პირი, რომელიც განზრახ იყენებდა თავის ძალაუფლებას სააქციო საზოგადოების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ზემოქმედებას ახდენდა სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრზე, რათა ამ წევრს სააქციო საზოგადოების საწინააღმდეგო ისეთი ქმედება ჩაედინა, რომელმაც ზიანი გამოიწვია, ვალდებულია სააქციო საზოგადოებას აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი. აღნიშნული პირი ვალდებულია, სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის გარდა, აანაზღაუროს აგრეთვე აქციონერისთვის მიყენებული ზიანი, გარდა იმ ზიანისა, რომელიც მას მიადგა სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანიდან გამომდინარე, მათ შორის, მისი აქციების ღირებულების შემცირებით.

4. სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრი, რომელმაც არ შესრულა მოვალეობა, პასუხს აგებს სოლიდარულად, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირთან ერთად. სამეთვალყურეო საბჭოს ან ხელმძღვანელი ორგანოს მიერ ამ ქმედების მოწონება საზოგადოების მმართველი ორგანოს წევრს არ ათავისუფლებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. ხელმძღვანელი პირი ვალდებული არ არის აანაზღაუროს ზიანი, თუ მისი ქმედება კანონის შესაბამისად მიღებულ საერთო კრების გადაწყვეტილებას ეფუძნებოდა.

5. სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისთვის სოლიდარულად აგებს პასუხს ის პირიც, რომელმაც ზიანის გამომწვევი ქმედების შედეგად სარგებელი მიიღო და განზრახ მოახდინა ზემოქმედება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირზე.

6. კრედიტორისთვის (მათ შორის საზოგადოებისთვის ან არა-დომინანტი აქციონერისთვის) ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ უქმდება სააქციო საზოგადოების მიერ შესაბამის მოთხოვნებზე უარის თქმით ან იმაზე მითითებით, რომ ზიანის გამომწვევი ქმედება საერთო კრების გადაწყვეტილებას ეფუძნებოდა.

მუხლი 5. შენატანი

1. შენატანი არის სააქციო საზოგადოებისთვის საკუთრებაში გადაცემული ქონება, რომლის ეკონომიკური ღირებულება აისახება საზოგადოების ბალანსში.

2. სააქციო საზოგადოების კაპიტალში შენატანის შეტანის განხორციელების ვალდებულება შეიძლება შესრულდეს ფულის გადახდით (ფულადი შენატანი) ან სხვა მატერიალური ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთის გადაცემით (არაფულადი შენატანი). სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა არ შეიძლება იყოს სააქციო საზოგადოებაში არაფულადი შენატანის საგანი.

3. ფულადი შენატანი განხორციელებულად ითვლება სააქციო საზოგადოების მიერ გახსნილ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის მომენტიდან.

4. არაფულადი შენატანი განხორციელებულად ითვლება საკუთრების უფლების გადაცემისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საჭირო მოქმედებების განხორციელების მომენტიდან.

5. თუ არაფულადი შენატანის ღირებულება, მისი განხორციელების დროს, ნაკლებია შეთანხმებული შენატანის ოდენობაზე, აქციონერი ვალდებულია შეთანხმებული შენატანის ღირებულება შეავსოს ფულადი სახით.

6. არაფულადი შენატანის ღირებულების შენატანის ოდენობასთან შესაბამისობის შეფასებას და შენატანის ვალდებულების შესრულების ორგანიზებას უზრუნველყოფს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობაზე

უფლებამოსილი ორგანო. აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული ხარჯების განაწილება/გადახდა ხორციელდება მხარეთა შეთანხმებით.

7. პარტნიორის მოთხოვნისას, ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილმა ორგანომ უნდა გასცეს წერილობითი ცნობა შენატანის განხორციელების ვალდებულების, მისი შესრულების ან ნაწილობრივი შესრულების, ასევე შესრულების ვადებისა და პირობების შესახებ.

8. შენატანის განხორციელების ცნობის ბრალეულ უზუსტობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ ორგანოს.

9. დაუშვებელია აქციონერის გათავისუფლება შენატანის შეტანის ვალდებულებისაგან, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

მუხლი 6. კაპიტალი

1. სააქციო საზოგადოებას აქვს განთავსებული კაპიტალი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

2. სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალი გამოსახულია ეროვნულ ვალუტაში.

3. სააქციო საზოგადოებას აქვს მხოლოდ ნომინალური ღირებულების მქონე აქციები, განთავსებული კაპიტალის ოდენობა შეადგენს განთავსებული აქციების ნომინალურ ღირებულებათა ჯამს.

4. განთავსებული კაპიტალის გაზრდა შესაძლებელია სააქციო საზოგადოების დამატებითი აქციების გამოშვებით და განთავსებით ან განთავსებული აქციების ნომინალური ღირებულების გაზრდით, საზოგადოების საკუთარი ქონების გამოყენებით, რაც უნდა განხორციელდეს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი წესით.

5. სააქციო საზოგადოების კაპიტალის გაზრდისას ახალი აქციების განთავსებით აქციის შემქმნმა აქციონერმა შენატანი უნდა განახორციელოს სააქციო საზოგადოების კაპიტალის გაზრდის მომენტიდან არაუმეტეს 1 წლის ვადაში, თუ ამ აქციების განთავსების გადაწყვეტილება შენატანის განხორციელების სხვა წესს არ აღგენს.

6. დამატებითი აქციების განთავსების გზით განთავსებული კაპიტალის გაზრდის მომენტისთვის თითოეულმა აქციონერმა ფულადი შენატანი უნდა განახორციელოს მისთვის გადაცემული აქციების განთავსების ფასის 50 პროცენტის ოდენობით. განთავსების ფასი არ უნდა იყოს აქციის ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლები, ისე რომ ჯამურად აქციონერების მიერ ახლად გამოშვებული აქციების ნომინალური ღირებულების სულ მცირე 50 პროცენტი იქნას გადახდილი.

7. თუკი აქციონერმა დაარღვია ფულადი შენატანის განხორციელების ვადა, ვადამოსულ განუხორციელებელ ფულად შენატანს საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს დისკრეციით შესაძლებელია დაეკისროს პირგასამტეხლო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი პერიოდისთვის დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ორმაგი ოდენობით. ეგივე წესი ვრცელდება არათულად შენატანზე.

8. აქციონერის მიერ ფულადი შენატანის განხორციელების ვადის დარღვევისას, სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს შეუძლია დაიწყოს აქციის (აქციების) ჩამორთმევის პროცესი. ამ შემთხვევაში სააქციო საზოგადოება ვალდებულია გააფრთხილოს აქციონერი აქციის (აქციების) ჩამორთმევის პროცესის დაწყების შესახებ და ფულადი შენატანის განხორციელებისთვის მისცეს მას დამატებითი ვადა არანაკლებ 30 დღისა.

9. დამატებითი ვადის უშედეგოდ ვასკლის შემდეგ ხელმძღვანელი ორგანოს მიერ გაგზავნილი შეტყობინებით აქციონერი სააქციო საზოგადოების სასარგებლოდ კარგავს აქციის (აქციების) იმ ნაწილს,

Commented [MOU4]: კრებამ გადაწყვიტოს

Deleted: დაერიცხოს

Deleted: წლიური პროცენტი

Deleted: სააქციო საზოგადოებამ დამატებით შეიძლება მოითხოვოს აღნიშნული ვადის დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

რომელმაც მას შენატანი არა აქვს განხორციელებული, და მასთან დაკავშირებულ უფლებებს. ანუ ჩამორთმევის შემდეგ აქციონერს დარჩება მხოლოდ აქციათა ის რაოდენობა, რაც მის მიერ განხორციელებული შენატანის გათვალისწინებით ჩაითვლება სრულად დაფარულად. განუხორციელებელ შენატანთან დაკავშირებულ ჰირსაგასამტეხლოზე სააქციო საზოგადოების მოთხოვნა ძალაში რჩება.

10. ხელმძღვანელ ორგანოს ნებისმიერ მომენტში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება აქციის (აქციების) ჩამორთმევის პროცესის შეწყვეტის შესახებ.

11. აქციის გასხვისების მომენტისთვის მასთან დაკავშირებული შეუსრულებელი ვალდებულებებისთვის გამსხვისებელი აქციონერი შემქმნთან ერთად სააქციო საზოგადოების წინაშე სოლიდარულად აგებს პასუხს.

12. "შენარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული აქციონერის უფლებ(ებ)ის რეალიზაცია (მათ შორის: აქციონერის ხმის უფლება საერთო კრებაზე, დივიდენდის მიღების უფლება განაწილებისას, საზოგადოების ქონების მიღების უფლება ქონების განაწილებისას ან/და სხვა უფლებები) განისაზღვრება აქციათა რაოდენობისა და კლასის შესაბამისად. ამასთან, იმ აქციებზე, რომლებზეც სრულად არ არის განხორციელებული შენატანი, ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით აქციონერები სარგებლობენ განხორციელებული შენატანის სიდიდის პროპორციულად.

13. სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის ცვლილება ხორციელდება კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

მუხლი 7. აქცია/აქციის კლასი

1. აქცია არის რეგისტრირებული, დემატერიალიზებული, სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც განსაზღვრავს სააქციო საზოგადოების კაპიტალში პირის მონაწილეობას.
2. აქცია შეიძლება იყოს ჩვეულებრივი ან/და პრივილეგირებული კლასის. ერთი კლასის ყველა აქციის ნომინალური ღირებულება ერთი და იგივეა და მათ მფლობელებს თანაბარ უფლებებს ანიჭებს. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას საერთო კრებაზე, იმ შემთხვევაში თუ კრების საარსებო თარიღის მდგომარეობით აქციის სანაცვლოდ შენატანი სრულად არის განხორციელებული. პრივილეგირებული აქცია არ უზრუნველყოფს ხმის უფლებას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. პრივილეგირებულ აქციათა ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს განთავსებული აქციების ოდენობის ნახევარს.
3. აქციათა კლასები განისაზღვრება სადამფუძნებლო შეთანხმებით.
4. პრივილეგირებული აქცია მის მფლობელს აძლევს აქციონერთა გადაწყვეტილებით დადგენილ უპირატესობას დივიდენდის განაკვეთის და მიღების რიგითობის მხრივ. იგივე უპირატესობა მოქმედებს დაშლილი საზოგადოების ქონების აქციონერთა შორის განაწილებისას.
5. სააქციო საზოგადოებას შეუძლია კანონით დადგენილი წესით გამოუშვას აქციად კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდი.

მუხლი 8. სააქციო საზოგადოების მმართველი ორგანოები

1. სააქციო საზოგადოების ორგანოებია:
 - ა) საერთო კრება;
 - ბ) სამეთვალყურეო საბჭო;
 - გ) ხელმძღვანელი ორგანო (დირექტორატი).

Deleted: ას
Deleted: განხორციელებულ შენატანს

Deleted: ი
Deleted: ები

Deleted: 9. დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ხელმძღვანელი ორგანოს მიერ გაგზავნილი შეტყობინებით აქციონერი სააქციო საზოგადოების სასარგებლოდ კარგავს აქციას, განხორციელებულ შენატანს და მასთან დაკავშირებულ უფლებებს. განუხორციელებელ შენატანთან დაკავშირებული სააქციო საზოგადოების მოთხოვნები ძალაში რჩება.

Commented [MOU5]: კრებამ გადაწყვიტოს

2. სააქციო საზოგადოების ორგანოები და მათი წევრები ახორციელებენ საქმიანობას და იღებენ გადაწყვეტილებებს მხოლოდ კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 9. საერთო კრება

1. ბირჟის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმომადგენს აქციონერთა საერთო კრება.
2. აქციონერთა კრების მოწვევის კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია, თუკი: ა) კრებას ყველა ხმის უფლების მქონე აქციონერი ესწრება და ყველა მათგანი თანხმად კრების ჩატარებასა და გადაწყვეტილებების მიღებაზე. თანხმობად ჩაითვლება, თუკი კრების დაწყებამდე აქციონერის მხრიდან არ იქნება გაცხადებული მოთხოვნა კრების სხვა დროს გამართვის შესახებ მისი მოწვევის პროცედურის დარღვევის გამო, ან ბ) თუ კრებაზე დამსწრე ყველა აქციონერი თანხმად კრების ჩატარებასა და გადაწყვეტილებების მიღებაზე, ხოლო ყველა ის აქციონერი, რომელიც არ ესწრება კრებას, კრების ჩატარების თარიღამდე არაუგვიანეს 1 დღით ადრე წერილობით გამოხატავს თანხმობას კრების ჩატარებასა და გადაწყვეტილებების მიღებაზე.
3. საერთო კრება მოიწვევა კანონით და ამ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საერთო კრების სათანადოდ მოწვევისა და ჩატარებისთვის პასუხისმგებელია ამ კრების მომწვევი ორგანო.
4. საერთო კრების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა სააქციო საზოგადოების აქციონერებისა და მმართველი/ხელმძღვანელი ორგანოებისთვის.
5. სააქციო საზოგადოების წლიური საერთო კრება ტარდება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.
6. საერთო კრება მოიწვევა ხელმძღვანელი ორგანოს მიერ, საერთო კრების მოწვევა ასევე შესაძლებელია კაპიტალის სულ მცირე 5 პროცენტის მფლობელი აქციონერის/აქციონერების (აქციონერთა ჯგუფის) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.
7. თუ ხელმძღვანელი ორგანო არ ასრულებს თავის მოვალეობას და არ იწვევს საერთო კრებას, სამეთვალყურეო საბჭო ვალდებულია მოიწვიოს საერთო კრება. გადაწყვეტილება კრების მოწვევის შესახებ მიიღება სამეთვალყურეო საბჭოს კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით, რის შესახებაც დგება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი. სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს, არის თუ არა საერთო კრება მოწვეული აქციონერთა ინიციატივით.
8. აუცილებლობის შემთხვევაში სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია კაპიტალის, სულ მცირე, 5 პროცენტის მფლობელი აქციონერის/აქციონერების (აქციონერთა ჯგუფის) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ამ მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოაქვეყნოს გადაწყვეტილება საერთო კრების მოწვევის შესახებ.
9. საერთო კრების მოწვევის შესახებ წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს საერთო კრების მოწვევის აუცილებლობა, მიზანი და მიზეზი, აგრეთვე მისი დღის წესრიგი, რომელშიც ასახულია აქციონერის/აქციონერების მიერ მოთხოვნილი ყველა საკითხი. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს უფლება აქვს საერთო კრების დღის წესრიგში დაამატოს საკითხები.
10. თუ საერთო კრების მოწვევის შესახებ სულ მცირე, 5 პროცენტის მფლობელი აქციონერის/აქციონერების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, აღნიშნულ აქციონერთა განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია განმსჯალებელ აქციონერებს მიანიჭოს საერთო კრების მოწვევის უფლებამოსილება და დანიშნოს საერთო კრების თავმჯდომარე.

11. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია საერთო კრება მოიწვიოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი წესით და გადაწყვიტოს საერთო კრების ჩატარებისთვის აუცილებელი ყველა ორგანიზაციული საკითხი.

12. საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე საერთო კრების ჩატარების თარიღამდე, სულ მცირე, 21 დღით ადრე. გადაწყვეტილება კრების მოწვევის შესახებ ქვეყნდება აგრეთვე სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

13. ყოველი მომდევნო საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს ამ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრულ მინიმალურ ვადაზე ადრე, თუ საერთო კრება მოიწვევა პირველი საერთო კრების მოწვევისთვის მოთხოვნილი კვორუმის არარსებობის გამო, პირველი საერთო კრება მოწვეულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მის დღის წესრიგში დამატებული არ არის საკითხი. ამ შემთხვევაში ბოლო საერთო კრებისა და მომდევნო საერთო კრების თარიღებს შორის, სულ მცირე, 10-დღიანი შუალედი უნდა იყოს.

14. საერთო კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციის სისწორისა და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს.

15. საერთო კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, შემდეგ მონაცემებს:

- ა) სააქციო საზოგადოების საფირმო სახელწოდებასა და იურიდიულ მისამართს;
- ბ) საერთო კრების ჩატარების თარიღს, ადგილსა და დროს;
- გ) აღნიშნას, მორიგი საერთო კრება ტარდება თუ რიგგარეშე;
- დ) საერთო კრების სააღრიცხვო დღეს და მითითებას, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს ჩვეულებრივი აქციების მფლობელებად ირიცხებიან და აქციის სანაცვლოდ შენატანი სრულად აქვთ განხორციელებული;
- ე) საერთო კრების დღის წესრიგს;
- ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ინფორმაციას (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში).

16. საერთო კრების დღის წესრიგის მასალები უნდა შეიცავდეს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ყველა ინფორმაციას.

17. თუ საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულია წესდების ახალი რედაქციის მიღება, წესდების ახალი რედაქცია უნდა გამოქვეყნდეს საერთო კრების მოწვევის შესახებ ინფორმაციასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დოკუმენტაცია ყველა აქციონერს პირადად ეგზავნება.

18. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო ვალდებული არიან ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე გამოაქვეყნონ საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მათ მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები და მიუთითონ ამ გადაწყვეტილებების საფუძვლები.

19. კაპიტალის, სულ მცირე, 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 14 დღით ადრე წერილობით მიმართოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს და:

- ა) მოითხოვოს საერთო კრების დღის წესრიგში საკითხების დამატება და თითოეულ საკითხს დაურთოს შესაბამისი დასაბუთება ან მისაღები გადაწყვეტილების პროექტი;

ბ) წარადგინოს საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ან გასათვალისწინებელ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილებების პროექტები და დასაბუთება.

20. თუ ამ მუხლის მე-19 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა იწვევს საერთო კრების იმ დღის წესრიგში ცვლილების შეტანას, რომელიც უკვე მიეწოდა აქციონერებს, სააქციო საზოგადოება ვალდებულია აქციონერებს საერთო კრების სააღრიცხვო დღემდე მიაწოდოს განახლებული დღის წესრიგი ამ მუხლის მე-12 პუნქტით დადგენილი წესით. თუ საერთო კრების განახლებული დღის წესრიგის აქციონერებისთვის მიწოდების ვალდებულება სააღრიცხვო დღის შემდეგ წარმოიშობა, იგი მიწოდებული უნდა იქნეს საერთო კრების ჩატარებამდე გონივრული ვადით ადრე, რათა აქციონერებს საშუალება ჰქონდეთ, დანიშნონ წარმომადგენლები ან ხმა მისცენ წერილობით.

21. ხმის უფლების მქონე აქციათა, სულ მცირე, 5 პროცენტის მფლობელ აქციონერს/აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვს წარადგინოს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ასარჩევ პირთა კანდიდატურები, თუ იგი რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების დღემდე, სულ მცირე, 14 დღით ადრე წარუდგენს სათანადო განცხადებას/წინადადებას ხელმძღვანელ ორგანოს. ეს წინადადება უნდა შეიცავდეს აღნიშნული კანდიდატებისთვის კანონით დადგენილ საიდენტიფიკაციო მონაცემებს.

22. ხმის უფლების მქონე აქციათა, სულ მცირე, 5 პროცენტის მფლობელი აქციონერის/აქციონერთა ჯგუფის მიერ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ასარჩევ პირთა კანდიდატურების წარდგენის უფლების გამოყენებისას საერთო კრების დღის წესრიგში შესატანი საკითხების დამატების და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წესი რეგულირდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

23. საერთო კრების დღის წესრიგში საკითხის შეტანის შესახებ აქციონერთა განცხადებაზე სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. სასამართლოს შეუძლია განმცხადებელ აქციონერებს მიანიჭოს შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებით დღის წესრიგში საკითხის დამატების უფლებამოსილება. შესაბამისი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს ხარჯები ეკისრება სააქციო საზოგადოებას.

24. საერთო კრების დღის წესრიგი საერთო კრებაზე შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კრებას ყველა აქციონერი ესწრება. საერთო კრების დღის წესრიგში აღნიშნული მოთხოვნის დარღვევით შეტანილი საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება ბათილია.

25. საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც საერთო კრების სააღრიცხვო დღისთვის ჩვეულებრივ აქციებზე საკუთრების უფლება ჰქონდათ და ამ აქციების სანაცვლოდ შენატანი სრულად ჰქონდათ განხორციელებული. მათი ხმების რაოდენობა ამ კრებაზე ტოლია იმ ჩვეულებრივი აქციების რაოდენობისა, რომელთა ღირებულება კრების სააღრიცხვო დღის მდგომარეობით მათ სრულად აქვთ დაფარული.

26. საერთო კრების სააღრიცხვო დღე არ უნდა იყოს საერთო კრების ჩატარების თარიღამდე 30 დღით ადრე. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის თარიღსა და სააღრიცხვო დღეს/თარიღს შორის უნდა იყოს არანაკლებ 6 დღე.

27. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა სია უნდა შეიცავდეს უფლებამოსილი პირების იდენტიფიკაციისთვის აუცილებელ მონაცემებს, მათ მფლობელობაში არსებულ აქციათა რაოდენობას და კლასს, ხმათა რაოდენობასა და მისამართს, რომელზეც უნდა გაიგზავნოს შეტყობინება კრების მონაწილეთა სიაში შეყვანის შესახებ.

28. აქციონერს უფლება აქვს სააქციო საზოგადოებას მოსთხოვოს საერთო კრების მონაწილეთა სიაში შეყვანის, მისი კუთვნილი აქციებისა და ხმების რაოდენობის დადასტურების გაცემა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სააქციო საზოგადოების აქციათა რეგისტრს ანარმობებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი, აქციონერს შეუძლია ამ უკანასკნელს მიმართოს აქციებზე მისი საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერის მისაღებად. აქციონერის ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა საერთო კრების მოწვევის პროცედურის არსებით დარღვევად მიიჩნევა. აქციონერის სტატუსის დადასტურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ აქციონერის იდენტიფიცირებისთვის და მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც პროპორციულია ამ მიზნის მისაღწევად.
29. აქციონერის უფლება, გაყიდოს ან სხვაგვარად გაასხვისოს თავისი აქცია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სააღრიცხვო თარიღს/დღეს და საერთო კრების მოწვევის თარიღს შორის პერიოდში, არ შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ შეზღუდვას, რომელიც, ჩვეულებრივ, არ იმოქმედებდა მის მიმართ.
30. საერთო კრების მონაწილეთა სისის სისწორისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება საერთო კრების მომწვევ ორგანოს.

მუხლი 10. საერთო კრების ჩატარება

1. საერთო კრების ჩატარების ფორმები:
 - ა) საერთო კრება შესაძლებელია ჩატარდეს კომბინირებული ფორმით, რაც ნიშნავს, რომ მონაწილეები შესაძლებელია არა მხოლოდ უშუალოდ ესწრებოდნენ კრებას, არამედ ამ ფორმასთან ერთად გამოყენებულ იქნეს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები, ან
 - ბ) საერთო კრება შესაძლებელია ჩატარდეს მხოლოდ ელექტრონული ფორმით დისტანციურად პრაქტიკაში დამკვიდრებული ნებისმიერი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით.

კრების ჩატარების ფორმას ირჩევს ხელმძღვანელი ორგანო, ან სამეთვალყურეო საბჭო წინამდებარე წესდების მე-9 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში და თავადვე ახდენს კრების მოწვევის ორგანიზებას.
2. აქციონერს საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლის დანიშვნა და წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ შეტყობინება ხდება სათანადო წესით დამოწმებული წერილობითი მინდობილობით აქციონერთა კრების მომწვევი ორგანოს მიერ კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაში განსაზღვრული დანაწესის შესაბამისად. აღნიშნული წესი ვრცელდება დანიშნული წარმომადგენლისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტამდე.
3. ხელმძღვანელ პირსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვთ უფლება, საერთო კრებაში მონაწილეობა მიიღონ, როგორც აქციონერთა წარმომადგენლებმა. აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება აქციონერი იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს.
4. დაუშვებელია აქციონერის უფლებების წარმომადგენლის მეშვეობით განხორციელების შეზღუდვა, გარდა წარმომადგენელსა და იმ აქციონერს შორის პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევისა, რომლის სახელითაც უნდა იმოქმედოს წარმომადგენელმა.
5. წარმომადგენელმა ხმა უნდა მისცეს მის მიერ წარმოდგენილი აქციონერის ინსტრუქციების შესაბამისად. თუ რამდენიმე აქციონერის წარმომადგენელი ერთი და იგივე პირია, მას უფლება აქვს სხვადასხვა აქციონერისთვის სხვადასხვაგვარად მისცეს ხმა.

6. ხელმძღვანელი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ საერთო კრების მუშაობაში.
7. აქციონერი ან მისი წარმომადგენელი ხმის უფლებას ვერ გამოიყენებს, თუ საერთო კრება იხილავს ამ აქციონერისთვის სააქციო საზოგადოების მოთხოვნის წაყენების ან მასთან გარიგების დადების საკითხს, აღნიშნულ აქციონერს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ინტერესთა კონფლიქტი აქვს ან ეს საკითხი სხვაგვარად პირდაპირ უკავშირდება მას.
8. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს, სულ მცირე, თითო წევრს უნდა მიეცეს საერთო კრებაზე სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა.
9. საერთო კრებაზე აქციონერის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კრების ჩატარების ფორმიდან გამომდინარე უშუალოდ დამსწრე აქციონერის მიერ (კრების ჩატარების ადგილზე, ან დისტანციურად ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით), ან დაუსწრებლად, წინასწარი ელექტრონული გამოკითხვის გზით, სააღრიცხვო თარიღის შემდეგ და კრების ჩატარებამდე სულ მცირე 1 (ერთი) დღით ადრე პერიოდში წერილობითი შეტყობინების გამოგზავნით.
10. იმ შემთხვევაში, თუ აქციონერი იყენებს წინასწარი ელექტრონული გამოკითხვის ფორმას, იგი ვალდებულია იმოქმედოს აქციონერთა კრების მომწვევი ორგანოს მიერ კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაში განსაზღვრული დანაწესის შესაბამისად. ამ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ აქციონერი მონაწილეობას იღებს კრებაში, მისი ხმა ლეგიტიმურად ჩაითვლება (აღირიცხება) ქვორუმში და დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისი ხმები გადანაწილდება მის მიერ წინასწარ გამოგზავნილი წერილობითი შეტყობინების შესაბამისად.
11. ხმის მიცემისას ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა და ელექტრონული კომუნიკაციის სისტემის უსაფრთხოება, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება აქციონერთა საერთო კრების მომწვევ ორგანოს.
12. აქციონერთა საერთო კრების მომწვევი ორგანოს გადანყვეტილებით შესაძლებელია განხორციელდეს საერთო კრების ვიდეო და აუდიოტრანსლირება, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს ორმხრივი ელექტრონული კომუნიკაცია, რაც აქციონერებს საშუალებას მისცემს, საერთო კრებას დისტანციურად მიმართონ.
13. საერთო კრება გადანყვეტილებუწარია (ე.ი. შემდგარია ქვორუმი), თუკი მას ესწრება/ესწრებიან ხმების უმრავლესობის მქონე აქციონერები, ვარდა „მწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 167-ე მუხლის მე-2 და 169-ე მუხლის მე-5 ნაწილებით დადგენილი შემთხვევებისა (როდესაც კრება გადანყვეტილებუწარია, თუკი მასში მონაწილეობს საერთო ხმების არანაკლებ 2/3-ის მფლობელი აქციონერები).
14. საერთო კრება გადანყვეტილებას იღებს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ კანონით ან ამ წესდებით გადანყვეტილების მისაღებად ხმათა უფრო დიდი რაოდენობა არ არის გათვალისწინებული.
15. წესდების ახალი რედაქცია, სადამფუძნებლო შეთანხმებაში შესატანი ცვლილება, დამატებითი აქციების გამოშვებით კაპიტალის გაზრდის შესახებ გადანყვეტილება მიღებული უნდა იქნეს კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების 3/4-ის უმრავლესობით.
16. აქციონერის ხმის უფლება განისაზღვრება მის მფლობელობაში არსებულ იმ ჩვეულებრივ აქციათა რაოდენობის მიხედვით, რომელთა სანაცვლოდ შენატანი სრულად არის დაფარული (ანუ ერთი ჩვეულებრივი აქცია - ერთი ხმა).

17. აქციონერის ხმის უფლება წარმოიშობა აქციის სანაცვლოდ შენატანის სრულად განხორციელების მომენტიდან.

18. საერთო კრებას თავმჯდომარეობს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, ან მათთან შეთანხმებით (ან მათი არყოფნისას) – საზოგადოების დირექტორი.

ნებისმიერ შემთხვევაში (მათ შორის იმ შემთხვევაში, თუკი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე / მოადგილე / საზოგადოების დირექტორი ფიზიკური ყოფნის მიუხედავად, არ ასრულებს მოვალეობას, არ ხსნის კრებას ან/და უარს აცხადებს მის წარმართვაზე) საერთო კრების გადაწყვეტილებით ხმათა უმრავლესობით შესაძლებელია საერთო კრების თავმჯდომარედ აირჩეს ნებისმიერი პირი.

საერთო კრების თავმჯდომარეობის უფლება ებღუდება პირს, რომელსაც დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან მიმართებაში გააჩნია ინტერესთა შეუთავსებლობა (კონფლიქტი).

19. საერთო კრება მიმდინარეობს ღია კენჭისყრით.

20. საერთო კრების თავმჯდომარემ მის მიერ დადგენილი რეგლამენტის შესაბამისად საერთო კრების მონაწილე ყველა აქციონერს უნდა მისცეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისას სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა.

21. კენჭისყრის შედეგები ცხადდება საერთო კრებაზე.

22. საერთო კრების გადაწყვეტილებით სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრ(ებ)ის ასარჩევად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხმების აკუმულირების მეთოდი, რომლის მიხედვით:

ა) აქციონერი თავის ყველა ხმას ანაწილებს ნებისმიერი რაოდენობის კანდიდატზე, ისე, რომ კენჭისყრაში მონაწილეობისას მისი ხმათა ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს მის განკარგულებაში არსებულ ხმათა საერთო რაოდენობას;

ბ) აქციონერს შეუძლია თითოეული თავისი ხმით მხოლოდ მხარი დაუჭიროს კანდიდატს;

გ) თუ კანდიდატების რაოდენობა ასარჩევ წევრთა/პირთა დადგენილ რაოდენობაზე ნაკლებია ან მისი ტოლია, ყველა ის კანდიდატი, რომელმაც თუნდაც 1 ხმა მიიღო, არჩეულად მიიჩნევა. თუ კანდიდატების რაოდენობა აღემატება ასარჩევ წევრთა/პირთა დადგენილ რაოდენობას, არჩეულად მიიჩნევიან ის კანდიდატები, რომლებმაც კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უმრავლესობა მიიღეს.

23. საერთო კრების დამთავრებიდან 15 დღის განმავლობაში უნდა შედგეს საერთო კრების ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საერთო კრების თავმჯდომარე. თუ საერთო კრებას ნოტარიუსი ესწრება, საერთო კრების ოქმს ადგენს და ხელს აწერს ნოტარიუსიც.

24. საერთო კრების გადაწყვეტილება/ოქმი ნამდვილია, თუ:

ა) საერთო კრება მოწვეულია უფლებამოსილი ორგანოს/პირის მიერ კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი წესით;

ბ) საერთო კრების ოქმი დამოწმებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) საერთო კრების მოწვევის შესახებ ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნებულ წერილობით შეტყობინებაში/პარტნიორებისთვის გაგზავნილ მოსაწვევეში მითითებულია საერთო კრების დღის წესრიგი, სააქციო საზოგადოების საფირმო სახელწოდება, საერთო კრების ჩატარების ფორმა, ადგილი (ფიზიკურად დასწრების შემთხვევაში), თარიღი და დაწყების დრო;

დ) დაცულია საერთო კრების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების პარტნიორებისთვის შეტყობინების წესი;

ე) საერთო კრებაზე განსახილველი საკითხი განეკუთვნება საერთო კრების უფლებამოსილებას;

ვ) გადანაცვებილება სადამფუძნებლო შეთანხმებაში ცვლილების/წესდების ახალი რედაქციის მიღების შესახებ არ ეწინააღმდეგება კანონს;

ზ) გადანაცვებილება არ ეწინააღმდეგება კანონის იმ ნორმებს, რომელთა უმთავრესი მიზანია კრედიტორთა უფლებების დაცვა;

თ) გადანაცვებილება არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

ი) თუ ოქში აღნიშნულია შემდეგი ინფორმაცია:

ი.ა) სააქციო საზოგადოების საფორმო სახელწოდება;

ი.ბ) საერთო კრების ჩატარების ადგილი და თარიღი;

ი.გ) ხმის უფლების მქონე აქციათა საერთო რაოდენობა;

ი.დ) საერთო კრებაში მონაწილე ან საერთო კრებაზე წარმოდგენილი ხმის უფლების მქონე აქციების რაოდენობა;

ი.ე) საერთო კრების ჩატარების ფორმა, ხმის მიცემის ფორმა და მიღებული გადანაცვებილება საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რეგისტრაციის მიხედვით;

ი.ვ) ყოველი გადანაცვებილებათვის – იმ აქციების რაოდენობა, რომლებიდან გამომდინარეც მართლზომიერად იყო ხმების მიცემული, ამ ხმებით წარმოდგენილი წილი განთავსებულ კაპიტალში, ხმების საერთო რაოდენობა, როგორც გადანაცვებილების სასარგებლოდ, ისე მის წინააღმდეგოდ მიცემული ხმების რაოდენობა და მათი რაოდენობა, ვინც ხმის მიცემისგან თავი შეიკავა.

25. საერთო კრების ოქმს უნდა დაერთოს საერთო კრების დადგენილი წესით მოწვევის დამადასტურებელი ყველა საბუთი.

26. საერთო კრების გადანაცვებილება/ოქში საჩივრდება სასამართლოში.

27. ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან საერთო კრების გადანაცვებილების ბათილობის თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანაცვებილება დაუყოვნებლივ წარუდგინონ მარეგისტრირებელ ორგანოს, თუ საერთო კრების გასაჩივრებელი გადანაცვებილების საფუძველზე უკვე განხორციელდა რეგისტრაცია.

28. ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან საერთო კრების გადანაცვებილების ან მისი ნაწილის ბათილობის თაობაზე სასამართლოს გადანაცვებილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ განათავსონ სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე ან სხვაგვარად მიაწოდონ აქციონერებს.

მუხლი 11. საერთო კრების კომპეტენცია

1. საერთო კრება იღებს გადანაცვებილებებს კანონითა და ამ წესდებით საერთო კრების კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე, მათ შორის:

ა) წესდებაში ცვლილების შეტანის / ახალი რედაქციის მიღების შესახებ;

ბ) სადამფუძნებლო შეთანხმებაში „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე;

გ) სააქციო საზოგადოების მართვის სისტემის (მონისტური / დუალისტური) შეცვლის შესახებ;

დ) სააქციო საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ;

ე) სააქციო საზოგადოების დაშლის, ლიკვიდატორის დანიშვნის, შუალედური და საბოლოო სალიკვიდაციო ბალანსების დამტკიცების შესახებ;

ვ) სააქციო საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის ნებართვის გაცემის შესახებ;

ზ) განთავსებული კაპიტალის ცვლილების შესახებ;

- თ) სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის, წევრების რაოდენობის, წევრების რაოდენობის, მათი არჩევის, ვადამდე გამონწვევის, ანაზღაურების ფორმის, ოდენობისა და სტრუქტურის განსაზღვრის შესახებ;
- ო) სააქციო საზოგადოების აუდიტის ანგარიშის დამტკიცებისა და აუდიტის განმასხორციელებელი პირის შერჩევის შესახებ;
- კ) ფინანსური ანგარიშის დამტკიცებისა და დივიდენდის განაწილების შესახებ;
- ლ) საერთო კრების მიმდინარეობის წესის დადგენისა და ხმის დამთვლელი კომისიის არჩევის შესახებ;
- მ) სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს/პირების და სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, მათ შორის, აღნიშნული პროცესისთვის წარმომადგენლის დანიშვნის თაობაზე;
- ნ) სააქციო საზოგადოების მიერ იმ ქონების შექმნის, გასხვისების, გაცვლის (ერთმანეთთან დაკავშირებული გარიგებების) ან სხვაგვარად დატვირთვის შესახებ, რომლის ღირებულება სააქციო საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტს შეადგენს, გარდა ისეთი გარიგებისა, რომელიც ჩვეულებრივ სანარმოო საქმიანობას ეხება;
- ო) ნებადართულ, გამოშვებულ და განთავსებულ აქციათა რაოდენობის, ნომინალური ღირებულების ცვლილების, დამატებითი აქციების განთავსების, აქციათა კლასებისა და მათთან დაკავშირებული უფლებების (მათ შორის და არამართლ: კონსოლიდაცია, დანაწევრება, კონვერტაცია) განსაზღვრის შესახებ;
- პ) აქციათა უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმების შესახებ;
- ჟ) სხვა ოურიდიული პირის დაფუძნების ან 25%-ზე მეტის ნივთბრივი მონაწილეობის შესახებ;
- რ) დამტკიცის გარიგება, რომლის ღირებულება სააქციო საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების 50 პროცენტს აღემატება.

- 2. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“, „ზ“, „ო“ და „პ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის მქონე აქციონერთა ხმების 75%-ზე მეტის თანხმობა, ხოლო ამავე პუნქტით გათვალისწინებული ყველა სხვა გადაწყვეტილების მისაღებად – დამსწრე ხმის მქონე აქციონერთა ხმების 50%-ზე მეტის თანხმობა.
- 3. საერთო კრებას არ აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც სხვა ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ორგანოები საერთო კრებას მათი კომპეტენციისთვის მიკუთვნებული საკითხის გადაწყვეტის თხოვნით მიმართავენ.

მუხლი 12. ხელმძღვანელი ორგანო (დირექტორატი)

- 1. სააქციო საზოგადოებას ხელმძღვანელობს და მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოადგენს ხელმძღვანელი ორგანო - „დირექტორატი“, რომელიც შედგება გენერალური დირექტორისა და დირექტორებისაგან, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო. გენერალური დირექტორი წარმოადგენს ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარეს.
- 2. ხელმძღვანელი ორგანოს წევრის - დირექტორის დანიშვნისას, დირექტორს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება განესაზღვროს იმ სტრუქტურული ერთეულის/დარგის/მიმართულების მაიდენტიფიცირებელი სტატუსი, რომელსაც ის უხელმძღვანელებს (მაგალითად: ფინანსური დირექტორი, ლისტიგის დირექტორი, ვაჭრობის დირექტორი, კომერციული დირექტორი და ა.შ.) თანახმად სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ორგანიზაციული სტრუქტურის ან/და ხელმძღვანელი ორგანოს დებულებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დირექტორატი (გენერალური

Commented [MOU6]: კრებამ გადაწყვიტოს: საერთო კრებაზე ხმათა რაოდენობა პროცენტმა უნდა დაადგინოს წევრთა რაოდენობის განსაზღვრის საკითხი (რაც უნდა აისახოს სადამფუძნებლო შეთანხმებაში).

Commented [MG7]: კანონის 184-ის მე-2 პ-ით გათვალისწინებული შესაძლებლობა გამოვიტყუოთ და დავამატოთ ერთი ახალი (მე-4) პუნქტი: „4. ო, უ და რ (თუ „რ“-ს დაეკორექტირებთ: „რ) კანონით ან წესდებით გათვალისწინებულ გარიგებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“) ქვეპუნქტებზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გადავიქცის საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს.“ სათანადოდ მე-2 პუნქტიდან ამოვიღოთ „ო“ („ზ“ ქვეპუნქტით კაპიტალის ცვლილებას კრება წვეტს „ო“ უფრო აღსრულებს პუნქტა)

Commented [NS8]: აღნიშნული კომპეტენცია წერია სამეთვალყურეო საბჭოს ნაწილში. მუხლი 14.1. "ბ"-სთან წინააღმდეგობაშია და კრებამ გადაწყვიტოს.

Commented [MG9]: ამოსაღებია, რადგან ეს წერია „ნ“ ქვეპუნქტში და მე-14 მუხლში მითითებაა ამ ქვეპუნქტზე

Commented [MOU10]: კრებამ გადაწყვიტოს:
აღნიშნული ტექსტის ნაცვლად შემოთავაზებული იყო ასეთი რედაქცია:
პირველ პუნქტში ჩამოთვლილ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი ქვორუმისა და ხმათა რაოდენობის შესაბამისად. მიზანი იყო ის, რომ თუკი კანონში რამე შეიცვალა, არ მოგვიწევს წესდების ცვლილება. ამასთანავე „პ“ ქვეპუნქტზე გადაწყვეტილების მისაღებად კანონის მოთხოვნა არ არის ხმათა 75%.

Commented [MOU11]: კრებამ გადაწყვიტოს:
აღნიშნული ტექსტის ნაცვლად შემოთავაზებული იყო ასეთი რედაქცია:
პირველ პუნქტში ჩამოთვლილ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი ქვორუმისა და ხმათა რაოდენობის შესაბამისად. მიზანი იყო ის, რომ თუკი კანონში რამე შეიცვალა, არ მოგვიწევს წესდების ცვლილება. ამასთანავე „პ“ ქვეპუნქტზე გადაწყვეტილების მისაღებად კანონის მოთხოვნა არ არის ხმათა 75%, სამაგიეროდ 2/3 ქვორუმი ჭირდება. ამიტომ დარჩეს კანონით გათვალისწინებული ხმათა უმრავლესობა.

დირექტორი/დირექტორ(ებ)ი ვაკანტური პოზიციის არსებობის/გაჩენის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით მისი/მათი მოვალეობის შემსრულებლად შეიძლება დროებით დანიშნულ იქნას, რომელიმე დირექტორი ან მოწვეული პირი, ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატის შერჩევამდე ან/და დამტკიცებამდე. ხელმძღვანელი ორგანოს წევრად არ ჩაითვლება ის დირექტორი, რომელსაც არ ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო და არ აქვს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

3. ხელმძღვანელი პირი (დირექტორი) შეიძლება იყოს ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც არ ყოფილა ნასამართლევ მიმე ან განსაკუთრებით მიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის, ჩამორთმეული არა აქვს მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლება და ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ჰქონია დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქვალადების შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის;. ხელმძღვანელი ორგანოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს. რამდენიმე ხელმძღვანელი პირის შემთხვევაში თითოეული პირს შესაძლებელია გააჩნდეს ერთპიროვნული (ცალ-ცალკე) წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, რაც აისახება სადამფუძნებლო შეთანხმებაში.

4. ხელმძღვანელი ორგანოს თითოეული წევრი (დირექტორი) გადაწყვეტილებას იღებს და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს ერთპიროვნულად მასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებით ან/და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ხელმძღვანელი ორგანოს დებულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

5. ცალკეული საკითხების მონსრირების მიზნით საერთო კრების, ან სამეთვალყურეო საბჭოს, ან დირექტორ(ებ)ის მოთხოვნით / გადაწყვეტილებით ხელმძღვანელი ორგანო მოქმედებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „კოლეგიური ორგანოს“ მანდატით, რა შემთხვევაშიც გადაწყვეტილების მიღება ხდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 207-ე მუხლის შესაბამისად. ნებისმიერ სხვა მიმდინარე საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება დირექტორთა შორის ზეპირსიტყვიერი ურთიერთშეთანხმებით.

6. სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორი კოორდინაციას უწევს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობას, თავმჯდომარეობს ხელმძღვანელი ორგანოს სხდომებს და აკონტროლებს ხელმძღვანელი ორგანოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას.

7. ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია შეასრულოს საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მათი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები.

8. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია საერთო კრების მოთხოვნით მოამზადოს ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება.

9. ხელმძღვანელ პირთან ურთიერთობის შინაარსი და მისი საქმიანობის ანაზღაურება განისაზღვრება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და სასამსახურო ხელშეკრულებით, რომელსაც პირის სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშვნის შემდეგ სააქციო საზოგადოების სახელით ღებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

10. თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაჰენტისთვის ცნობილი იყო სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს (ან მისი წევრის) უფლებამოსილების შემლუდვის შესახებ, საზოგადოებას აქვს ამ ხელშეკრულების შეცილების უფლება. იგივე წესი გამოიყენება, თუ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი და კონტრაჰენტი განზრახ მოქმედებენ ერთად, რათა ზიანი მიადგეს იმ

სამეწარმეო საზოგადოებას, რომლის სახელითაც მოქმედებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

11. გენერალურმა დირექტორმა სამეთვალყურეო საბჭოს უნდა მიანოდოს ინფორმაცია ხელმძღვანელი ორგანოს და მისდამი დაქვემდებარებული ორგანოების საქმიანობის შესახებ.

12. ხელმძღვანელი პირი თანამდებობაზე ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი ვადით, ხელახლა დანიშნის უფლებით. თუ დადგენილი ვადის ამონურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ განხორციელდება ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილების ახალი ვადის ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად მიიჩნევა.

13. თუ ჭიანჭურდება სააქციო საზოგადოების იმ ხელმძღვანელი პირის დანიშვნა, რომლის გარეშეც სააქციო საზოგადოება თავის საქმიანობას ვერ ახორციელებს, ხელმძღვანელი პირი აქციონერის ან კრედიტორის განცხადების საფუძველზე შეიძლება დანიშნოს სასამართლომ. სასამართლოს მიერ დანიშნულ სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ პირს უფლება აქვს თავისი საქმიანობისთვის სააქციო საზოგადოებას მოსთხოვოს გასამრჯელო და გონივრულ ფარგლებში ფულადი დანახარჯების ანაზღაურება. სასამართლოს მიერ დანიშნული ხელმძღვანელი პირისა და სააქციო საზოგადოების შეთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლომ თავად უნდა განსაზღვროს აღნიშნული გასამრჯელოს და ასანაზღაურებელი ფინანსური დანახარჯების ოდენობები.

14. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს თანამდებობიდან ხელმძღვანელი პირი შესაბამისი საფუძვლის მითითების გარეშე. ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ამ დებულებას ეწინააღმდეგება, ბათილია.

15. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია მოამზადოს ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება.

16. ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქციები სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობის სფეროში არ შეიძლება გადაეცეს სამეთვალყურეო საბჭოს.

17. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე გამოაქვეყნოს სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის ცვლილების, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევისა და მასთან დაკავშირებული ყველა ცვლილების შესახებ ინფორმაცია, აგრეთვე აღნიშნული ინფორმაცია განათავსოს სააქციო საზოგადოების ვებგვერდზე (არსებობის შემთხვევაში).

18. ყველა საკითხი, რომლებიც კანონით ან ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას, განეკუთვნება სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს კომპეტენციას.

მუხლი 13. სამეთვალყურეო საბჭო

1. სამეთვალყურეო საბჭო ახორციელებს კონტროლს ხელმძღვანელი ორგანოს/პირების საქმიანობაზე და თანამშრომლობს მასთან სააქციო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მომზადებისა და გადაწყვეტის პროცესში.

2. სამეთვალყურეო საბჭო შედგება, სულ მცირე, 3 წევრისაგან.

3. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც არ ყოფილა ნასამართლავი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, ტერორიზმის დაფინანსებისათვის ან/და

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისათვის ან სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის, ჩამორთმეული არა აქვს მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლება და ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ჰქონია დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის.

4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი აირჩევა საერთო კრების მიერ კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით.

5. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრი აირჩევა არაუმეტეს 3 წლის ვადით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადა მისი ამონურვის შემდეგ ავტომატურად გრძელდება საერთო კრების ჩატარებამდე და ამ კრებაზე ახალი წევრების არჩევამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება არჩეულ იქნენ ახალი ვადით.

6. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვალდებულია კეთილსინდისიერად განახორციელოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს/პირების საქმიანობის კონტროლი და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში წარმოადგინოს საზოგადოება ხელმძღვანელ ორგანოსთან/პირებთან ურთიერთობაში.

7. სამეთვალყურეო საბჭოს არჩეული წევრები საერთო კრების გადაწყვეტილებით ნებისმიერ დროს შეიძლება გამოწვეულ იქნენ წევრობიდან. გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით.

8. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ნებისმიერ დროს შეუძლია გავიდეს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან, ისე, რომ ზიანი არ მიადგეს სააქციო საზოგადოებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას აქვს საპატიო მიზეზი.

9. თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გასვლის ან გამოწვევის შედეგად სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა კრების მიერ სადამფუძნებლო შეთანხმებაში დადგენილ წევრთა რაოდენობაზე $\frac{1}{2}$ -ზე ნაკლები გახდა, სამეთვალყურეო საბჭომ ან ხელმძღვანელმა ორგანომ არაუგვიანეს ამ ფაქტის დადგომიდან 30 დღის ვადაში უნდა მოიწვიოს აქციონერთა საერთო კრება სამეთვალყურეო საბჭოს ახალ წევრთა ასარჩევად, თუ ამგვარი კრება არ იქნა მოწვეული ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გასვლიდან 6 თვის განმავლობაში არ იქნება არჩეული ახალი წევრი, ხელმძღვანელი ორგანოს განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია დანიშნოს ახალი წევრი.

10. სასამართლოს მიერ დანიშნული სამეთვალყურეო საბჭოს წევრის უფლებამოსილება წყდება კანონით დაწესებული დამატებითი წესით ახალი წევრის არჩევისთანავე.

11. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს ხელმძღვანელი ორგანოს წევრი ან საზოგადოების თანამშრომელი. ხელმძღვანელი ორგანო ვალდებულია ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე გამოაქვეყნოს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის და მისი მოადგილის არჩევა და მათთან დაკავშირებული ყოველი ცვლილება, ასევე განათავსოს აღნიშნული საზოგადოების ვებგვერდზე, თუ საზოგადოებას აქვს ვებგვერდი.

12. სამეთვალყურეო საბჭო საბჭოს წევრებიდან ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეს კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით. თუ კანდიდატები მიიღებენ ხმების თანაბარ რაოდენობას, თავმჯდომარედ დანიშნება მათ შორის უხუცესი.

13. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კოორდინაციას უწევს საბჭოს საქმიანობას, თავმჯდომარეობს საბჭოს სხდომებს და წარმოადგენს საბჭოს საზოგადოების სხვა ორგანოებთან, თანამდებობის პირებთან და

თანამშრომლებთან. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციებს თავმჯდომარის არყოფნისას ან მის მიერ მოვალეობების შესრულების შეუძლებლობისას.

14. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრზე, შესაბამის შემთხვევებში, ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე, 51-ე, 53-ე და 55-ე მუხლები სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის შესახებ.

მუხლი 14. სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია; კომიტეტები

1. სამეთვალყურეო საბჭოს უფლება-მოვალეობებია:

- ა) დაადგინოს ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა უფლებამოსილების ფარგლები;
- ბ) დანიშნოს და გაათავისუფლოს ბირჟის ხელმძღვანელი ორგანო (გენერალური დირექტორი და დირექტორები, ან მათი მოვალეობის შემსრულებლები), დადოს ან შეწყვიტოს მათთან სასამსახურო ხელშეკრულება, მიიღოს გადაწყვეტილება ხელმძღვანელ პირთა (გენერალური დირექტორის და დირექტორების) ანაზღაურების ფორმისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ.
- გ) კონტროლი გაუწიოს ხელმძღვანელი ორგანოს საქმიანობას, ხელმძღვანელ ორგანოს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს სააქციო საზოგადოების საქმიანობის ანგარიში;
- დ) გამოითხოვოს, განიხილოს, შეამოწმოს და შეისწავლოს სააქციო საზოგადოების საქმიანი დოკუმენტაცია, მათ შორის, საბუღალტრო დოკუმენტაცია, სააქციო საზოგადოების ქონებრივი ობიექტები და სალარო; ამ მოქმედებების განხორციელება დაავალოს სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს ან მათ განსახორციელებლად მოიწვიოს ექსპერტები;
- ე) შეამოწმოს / განიხილოს სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წლიური ანგარიშები, წინადადებები მოგების განაწილების შესახებ, საქმიანობის ანგარიში და ამის თაობაზე მოახსენოს საერთო კრებას;
- ვ) წარმოადგინოს სააქციო საზოგადოება ხელმძღვანელ პირთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში;
- ზ) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გაასაჩივროს საერთო კრების გადაწყვეტილებები.
- თ) მიიღოს გადაწყვეტილება ნებადართული კაპიტალის ფარგლებში დამატებითი აქციების განთავსების შესახებ, თუ ეს დადგენილია დამატებითი აქციების გამოშვების შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილებით;
- ი) მიიღოს გადაწყვეტილება ჩვეულებრივი საწარმოო საქმიანობის ფარგლებში სხვა იურიდიული პირის დაფუძნების ან წილობრივი მონაწილეობის შესახებ, გარდა წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვარიანტებისა;
- კ) შეიმუშაოს პოზიცია ბირჟის შვილობილი საწარმოების მოგების განაწილების თაობაზე;
- ლ) მიიღოს, შეიტანოს ცვლილებები, განმარტოს ან გააუქმოს ბირჟის, როგორც თვითრეგულირებადი ორგანიზაციის მარეგულირებელი წესები,
- მ) მიიღოს, შეიტანოს ცვლილებები, განმარტოს ან გააუქმოს ბირჟის წესები, რომლებიც უზრუნველყოფს სააქციო საზოგადოების კორპორაციული მართვის რეგულირებას, მათ შორის ხელმძღვანელი ორგანოს დებულებით დაადგინოს ხელმძღვანელი ორგანოს კომპეტენციის ფარგლები.
- ნ) ცალკეულ შემთხვევებში მოახდინოს უფლებამოსილების დელეგირება ბირჟის ხელმძღვანელ ორგანოზე;

- ო) დაამტკიცოს ხელმძღვანელი ორგანოს მიერ შემუშავებული საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა და მასში ცვლილებები;
 - პ) მიიღოს გადაწყვეტილება ბირჟის წევრების მიღებისა და წევრებისათვის წევრობის შეწყვეტის შესახებ;
 - ჟ) მიიღოს გადაწყვეტილება ფასიანი ქაღალდების ლისტინგში დაშვების შესახებ, ასევე ფასიანი ქაღალდების ვაჭრობიდან მოხსნისა (სავაჭრო სისტემიდან ამოღების) და დელისტინგის შესახებ;
 - რ) კანონმდებლობით და წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოიწვიოს ბირჟის აქციონერთა საერთო კრება;
 - ს) სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან ან/და დამოუკიდებელი / მოწვეული პირებისგან შექმნას კომიტეტ(ებ)ი და განსაზღვროს მათი კომპეტენცია;
 - ტ) მოიწვიოს ხელმძღვანელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი წინადადება ან შემუშავოს ალტერნატიული წინადადება საზოგადოების წმინდა მოგების გამოყენების შესახებ და წარადგინოს შეთანხმებული ან (შეუთანხმებლობის შემთხვევაში) ორივე წინადადება საერთო კრებას დასამტკიცებლად
 - უ) გასცეს გენერალური სავაჭრო მინდობილობა.
 - ფ) დაამტკიცოს წლიური ბიუჯეტი და გასცეს თანხმობა გრძელვადიანი ვალდებულებების აღებაზე;
 - ქ) გასცეს თანხმობა იმგვარი ვალდებულებების აღებას ან/და უზრუნველყოფაზე, რომლებიც აღემატება საზოგადოების აქტივების 5%-ს ან კაპიტალის 10%-ს უკანასკნელი აუდიტირებული წლიური ბალანსის მიხედვით. ამასთან, დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა ვალდებულებათა უზრუნველყოფა.
2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს შეუძლია იყოს რამდენიმე კომიტეტის წევრი ერთდროულად.
3. კომიტეტები მოქმედებენ კანონმდებლობით, წესდებით და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კომიტეტის დებულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში. კომიტეტს არა აქვს უფლება სამეთვალყურეო საბჭოს სახელით მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება ან მისცეს რაიმე დავალება ბირჟის ხელმძღვანელ ორგანოს.

Commented [MOU12]: კრებამ გადაწყვიტოს

მუხლი 15. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები

- 1. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა უნდა ჩატარდეს 3 თვეში ერთხელ მაინც. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს სხდომების მოწვევა და ჩატარება. მოწვევა უნდა გაკეთდეს წერილობით, სულ ცოტა 2 დღით ადრე (გონივრული ვადის დაცვით და დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე შესაბამისი ინფორმაციის/მასალების გაგზავნით) და სავარაუდო დღის წესრიგის მითითებით. საბჭოს სხდომის მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ყველა საბჭოს წევრი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს. წერილობითი თანხმობა სხდომის ოქმის ტოლფასია და ითვლება სხდომის გადაწყვეტილებად.
- 2. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს ან ხელმძღვანელ ორგანოს აქვს უფლება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისაგან მოითხოვოს საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევა. მოთხოვნაში უნდა მიეთითოს რიგგარეშე სხდომის ჩატარების მიზეზები და მიზნები. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში უზრუნველყოს სხდომის ჩატარება. თუ სხდომის მოწვევის შესახებ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან ხელმძღვანელ ორგანოს შეუძლიათ, თვითონ მოიწვიონ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა.

Commented [MOU13]: კრებამ გადაწყვიტოს:
კანონი იძლევა მოქნილობის საშუალებას და არ ადევნს სხდომების ჩატარების აუცილებლობას, სინშირეს და სხდომის მოწვევის ვადებს. შესაძლებელია უფრო მოქნილი ჩანაწერი გაკეთდეს.

3. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს უძღვება სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი წევრი. სხდომის მიმდინარეობისა და გადაწყვეტილებების შესახებ დგება სხდომის ოქმი. სხდომის ოქმის სისწორესა და სრულყოფილებაზე პასუხისმგებელია სხდომის თავმჯდომარე.

4. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა, სულ მცირე, ნახევარი.

5. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია არაუგვიანეს 5 დღისა მოინვიოს ახალი სხდომა იმავე დღის წესრიგით, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება კენჭისყრაში მონაწილე წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

6. თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრაში მონაწილე ხმათა უმრავლესობით და ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ხმა, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - სხდომის თავმჯდომარის ხმა.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება სხვა წევრებით იქნენ წარმოდგენილი, ოღონდ ერთი წევრი - ერთი სხვა წევრით, სათანადო წესით დამოწმებული წერილობითი მინდობილობით.

7. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება სხდომის ოქმში ჩანაწერით. ოქმს ადგენს და ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე. ოქმის ნამდვილობასა და მასში მითითებული ფაქტების სისწორეზე პასუხისმგებელია სხდომის თავმჯდომარე.

მუხლი 16. სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელობის ზოგადი პრინციპები, ხელმძღვანელ პირთა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა პასუხისმგებლობა

1. ხელმძღვანელი პირი ვალდებულია სააქციო საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, კერძოდ, მასზე ისე ზრუნავდეს, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა ეზრუნა/ემოქმედა ჩვეულებრივ, საღად მოაზროვნე პირს, იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება საზოგადოებისთვის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია.

2. ხელმძღვანელი პირი სააქციო საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს კეთილსინდისიერების მოვალეობის ბრალეული შეუსრულებლობით მიყენებული ზიანისთვის. დაუშვებელია შეიზღუდოს ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა ამ მოვალეობის განზრახ შეუსრულებლობისთვის.

3. ხელმძღვანელი პირის მიერ სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს ხელმძღვანელ ორგანოს, სხვა ხელმძღვანელ პირს, სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით – თითოეულ აქციონერს.

4. ხელმძღვანელი პირი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, თუ იგი თავისი ქმედებით საერთო კრების გადაწყვეტილებას ასრულებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მან საერთო კრების გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ან იცოდა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება ზიანს გამოიწვევდა, მაგრამ ამის თაობაზე არ შეატყობინა საერთო კრებას გადაწყვეტილების მიღებამდე ან აღსრულებამდე.

5. თუ ვარიანტების ღირებულება სააქციო საზოგადოების აქტივების საბალანსო ღირებულების 50 პროცენტს აღემატება, ვარიანტსა საერთო კრებამ უნდა დაამტკიცოს.

6. თუ სააქციო საზოგადოება გადახდისუუნაროა ან გადახდისუუნარობის საშიშროების წინაშე დგას, ხელმძღვანელმა პირმა ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ საზოგადოების გადახდისუუნარობის დადგომის მომენტიდან არაუგვიანეს 3 კვირისა, უნდა განაცხადოს გადახდისუუნარობის თაობაზე „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება ბრალეულად გაჭიანურებული არ არის, თუ ხელმძღვანელი პირი ზრუნვის მოვალეობას ჯეროვნად ასრულებს.

7. ზრუნვის მოვალეობა არ არის დარღვეული და ხელმძღვანელი პირი არ არის ვალდებული ანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც სააქციო საზოგადოებას მის მიერ მიღებული სამენარმეო გადაწყვეტილებით მიადგა, თუ ხელმძღვანელ პირს გონივრულად შეეძლო ევარაუდა, რომ იგი სამენარმეო გადაწყვეტილებას საკმარისი და სანდო ინფორმაციის საფუძველზე, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად და ინტერესთა კონფლიქტის ან სხვათა ზეგავლენის გარეშე იღებდა. აღნიშნული წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც სამენარმეო გადაწყვეტილება კანონით ან ამ წესდებით გათვალისწინებული მოვალეობების დარღვევით არის მიღებული.

8. ხელმძღვანელ პირს არ აქვს უფლება სააქციო საზოგადოების თანხმობის გარეშე განხორციელოს იგივე საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს საზოგადოება, ან იყოს იმავე სფეროში მოქმედი სხვა საწარმოს ხელმძღვანელი პირი. ხელმძღვანელ პირთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებით აღნიშნული ვალდებულება შეიძლება ძალაში დარჩეს მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგაც, მაგრამ არაუმეტეს 3 წლის ვადით. ამ ვალდებულების დარღვევისთვის შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს კომპენსაცია. მისი ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება სასამსახურო ხელშეკრულებით ან მხარეთა დამატებითი შეთანხმებით. კონკურენციის აკრძალვის წესის დარღვევის შემთხვევაში საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს, საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისთვის კომპენსაციასთან ერთად, შეთანხმებული პირგასამტეხლოს გადახდაც მოსთხოვოს. საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს კომპენსაციის ნაცვლად მოსთხოვოს საკუთარი ან მესამე პირის სახელით დადებული გარიგებიდან დამრღვევის მიერ მიღებული სარგებლის საზოგადოებისთვის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა. ამ უფლების გამოყენება შეუძლია ხელმძღვანელ ორგანოს, სხვა ხელმძღვანელ პირს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – თითოეულ პარტნიორს.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ საწარმოზე, რომელშიც სააქციო საზოგადოება ფლობს წილს, ან სხვაგვარად აქვს კონტროლი. ასევე არ ვრცელდება იმ საწარმოზე, რომელიც სააქციო საზოგადოებაში ფლობს წილს, ან სხვაგვარად აკონტროლებს მას.

10. სააქციო საზოგადოებაში ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობის ვაცემა შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოს. თანხმობა შეიძლება გაიყოს როგორც ზოგადად, ისე კონკრეტულ საქმიანობაზე, გარიგების სახესა და სააქციო საზოგადოებაში მონაწილეობაზე. თანხმობის ვაცემაზე დაუსაბუთებლად უარის თქმა დაუშვებელია. საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობა ვაცემულად მიიჩნევა, თუ საზოგადოების ხელმძღვანელი პირის დანიშნვისას სამეთვალყურეო საბჭომ იცოდა, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი პირი ახორციელებდა აღნიშნულ საქმიანობას, მაგრამ მისთვის ამ საქმიანობის შეწყვეტა არ მოუთხოვია.

11. ხელმძღვანელ პირს არ აქვს უფლება, სააქციო საზოგადოების წინასწარი თანხმობის გარეშე, პირადი სარგებლის ან, ამ საზოგადოების გარდა, სხვა პირთა მიერ სარგებლის მისაღებად ისარგებლოს საზოგადოების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანი შესაძლებლობით, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი ვახდა მოვალეობის შესრულებისას ან თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე

და რომელიც, გონივრული თვალსაზრისით, საზოგადოების ინტერესის საგანი შეიძლება იყოს ცოფილიყო. საზოგადოების წინასწარი თანხმობის მიღება საჭირო არ არის, თუ საერთო კრებამ / სამეთვალყურეო საბჭომ უკვე იმსჯელა აღნიშნულ შესაძლებლობაზე და უარი თქვა მის გამოყენებაზე. ეს ვალდებულება ძალაში რჩება ხელმძღვანელი პირის თანამდებობიდან გათავისუფლებიდან არაუმეტეს 3 წლისა. მასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებით შეიძლება დადგინდეს უფრო მცირე ვადა. საქმიანი შესაძლებლობით სარგებლობაზე წინასწარი თანხმობის გაცემა შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოს.

12. საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვის წესის დარღვევის შემთხვევაში სააქციო საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს მოსთხოვოს ამ დარღვევით საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის (მათ შორის, მიუღებელი შემოსავლის) ანაზღაურება. საზოგადოებას შეუძლია დამრღვევს ზიანის ანაზღაურების ნაცვლად მოსთხოვოს საკუთარი ან მესამე პირის სახელით დადებული გარიგებიდან დამრღვევის მიერ მიღებული სარგებლის საზოგადოებისთვის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა. ამ მოთხოვნის უფლების გამოყენება შეუძლია ხელმძღვანელ ორგანოს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – თითოეულ პარტნიორს.

13. ვალდებულების რამდენიმე ხელმძღვანელი პირის მოქმედებით ან უმოქმედობით შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი სააქციო საზოგადოების წინაშე პასუხის სოლიდარულად აგებენ.

14. საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელმძღვანელი პირის მიერ სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის ან მასთან მორიგების თაობაზე, თუ ამ გადაწყვეტილებას არ შეეწინააღმდეგებიან ხმათა, სულ მცირე, 10 პროცენტის მესაკუთრე აქციონერები. ხელმძღვანელი პირი ასევე თავისუფლდება საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან, თუ იგი თავისი ქმედებით საერთო კრების გადაწყვეტილებას ასრულებდა. ხელმძღვანელ პირს, რომლის საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან გათავისუფლების საკითხიც განიხილება, ეკრძალება ამ საკითხზე კენჭისყრისას ხმის მიცემა.

15. ხელმძღვანელ პირთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებით არ შეიძლება გამოირიცხოს ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა მის მიერ ვალდებულების განზრახ შეუსრულებლობით საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისთვის.

16. ხელმძღვანელი პირი ასევე ვალდებულია დაიცვას „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 208-ე მუხლის მოთხოვნები.

17. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე, შესაბამის შემთხვევებში, ვრცელდება წინამდებარე მუხლის 1-16 პუნქტები ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის შესახებ.

მუხლი 17. სააქციო საზოგადოების დაშლა და რეორგანიზაცია

1. ბირჟის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია შეიძლება მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარი თანხმობით.

2. ბირჟისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საბირჟო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება მისი რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის საფუძველია.

3. თუ ბირჟა მიიღებს გადაწყვეტილებას თვითლიკვიდაციის ან საბირჟო საქმიანობის შეჩერების შესახებ, მან დაუყოვნებლივ, წერილობით უნდა აცნობოს საქართველოს ეროვნულ ბანკს ამ გადაწყვეტილების თაობაზე.

4. ბირჟის ლიკვიდატორს ნიშნავს საქართველოს ეროვნული ბანკი.

5. ბირჟის რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის და დაშლის სხვა საკითხები/პროცედურები რეგულირდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” კანონით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების და ბირჟის წესდებით, შინაგანაწესითა და წესებით.

მუხლი 18. ბუღალტრული აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი

1. საზოგადოების ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს, ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ხდება და აუდიტი ხორციელდება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
2. აუდიტის განხორციელებაში აქციონერების, ხელმძღვანელი ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მონაწილეობამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას აუდიტორის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას.
3. საზოგადოების ხელმძღვანელი პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ერთობლივად არიან პასუხისმგებელი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისთვის.

მუხლი 19. დასკვნითი დებულებები

1. ამ წესდებაში ცვლილების შეტანა ხდება აქციონერთა კრების მიერ ამავე წესდებით დადგენილი წესით. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონსა და ამ წესდებას შორის შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.
2. ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
3. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე წესდებით რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.